

„ვამტკიცებ“
თბილისის ფეხბურთის ფედერაციის
პრეზიდენტი

გ. ცაავა

—06—



—05— 2017 წ.

მომავლის თასი-2017

ივერი ჭელიძის სახელობის III
საერთაშორისო ტურნირი
2005 წელს დაბადებულ მოზარდთა გუნდებს შორის
(27 მაისი – 1 ივნისი 2017 წ.)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

1. მიზანი და ამოცანები

- ბავშვთა ფეხბურთის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია;
- საფეხბურთო გუნდებისათვის რეზერვების მომზადება;
- საქართველოს ასაკობრივი ნაკრები გუნდებისათვის პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევა;
- ჭაბუკებს შორის ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა;
- საერთაშორისო სპორტული კავშირების გაღრმავება;
- საერთაშორისო გამოცდილების შეძენა;
- გამარჯვებული გუნდების გამოვლენა.

2. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- ტურნირს ხელმძღვანელობს თბილისის ფეხბურთის ფედერაცია (შემდგომში თფფ).
- თამაშები ჩატარდება ზაზა ბენდელიანის სახელობის სტადიონზე თფფ-ს მიერ დამტკიცებული კალენდრის მიხედვით.